

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №49
2018 წლის 24 დეკემბერი

დაბა ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის №42 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის №42 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 25/12/2017, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.128.016315) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე

დანართი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9,419.6	2,904.9	6,514.7	15,398.9	9,225.8	6,173.1	13,531.2	6,780.2	6,751.0
გადასახადები	1,268.3	0.0	1,268.3	1,300.3	0.0	1,300.3	1,210.0	0.0	1,210.0
გრანტები	6,959.0	2,904.9	4,054.1	13,059.9	9,225.8	3,834.1	11,006.6	6,780.2	4,226.4
სხვა შემოსავლები	1,192.3	0.0	1,192.3	1,038.7	0.0	1,038.7	1,314.6	0.0	1,314.6
ხარჯები	6,884.8	549.3	6,335.5	6,379.2	578.0	5,801.2	7,035.1	514.4	6,520.7
შრომის ანაზღაურება	1,631.8	86.1	1,545.7	1,347.1	104.6	1,242.5	1,676.0	67.5	1,608.5
საქონელი და მომსახურება	877.5	292.2	585.3	1,032.1	253.1	779.0	838.0	258.6	579.4
სუბსიდიები	3,621.9	49.0	3,572.9	3,429.1	159.8	3,269.3	3,642.6	71.0	3,571.6



გრანტები	102.5	0.0	102.5	0.4	0.0	0.4	0.4	0.0	0.4
სოციალური უზრუნველყოფა	513.2	2.9	510.3	486.0	2.0	484.0	484.4	0.5	483.9
სხვა ხარჯები	137.9	119.1	18.8	84.5	58.5	26.0	346.6	116.8	229.8
საოპერაციო სალდო	2,534.8	2,355.6	179.2	9,019.7	8,647.8	371.9	6,496.1	6,265.8	230.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,353.9	2,188.2	165.7	5,013.2	4,813.8	199.4	11,215.3	10,675.2	540.1
ზრდა	2,408.2	2,188.2	220.0	5,109.1	4,813.8	295.3	11,285.3	10,675.2	610.1
კლება	54.3	0.0	54.3	95.9	0.0	95.9	70.0	0.0	70.0
მთლიანი სალდო	180.9	167.4	13.5	4,006.5	3,834.0	172.5	-4,719.2	-4,409.4	-309.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	171.0	167.4	3.6	3,993.6	3,823.8	169.8	-4,719.2	-4,409.4	-309.8
ზრდა	171.0	167.4	3.6	3,993.6	3,823.8	169.8	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	171.0	167.4	3.6	3,993.6	3,823.8	169.8	0.0		
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	4,719.2	4,409.4	309.8
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			0.0			4,719.2	4,409.4	309.8
ვალდებულებების ცვლილება	-9.9	0.0	-9.9	-12.9	-10.2	-2.7	0.0	0.0	0.0
კლება	9.9	0.0	9.9	12.9	10.2	2.7	0.0	0.0	0.0
საშინაო	9.9	0.0	9.9	12.9	10.2	2.7	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9,473.9	2,904.9	6,569.0	15,494.8	9,225.8	6,269.0	13,601.2	6,780.2	6,821.0
შემოსავლები	9,419.6	2,904.9	6,514.7	15,398.9	9,225.8	6,173.1	13,531.2	6,780.2	6,751.0
არაფინანსური აქტივების კლება	54.3	0.0	54.3	95.9	0.0	95.9	70.0	0.0	70.0
გადასახდელები	9,302.9	2,737.5	6,565.4	11,501.2	5,402.0	6,099.2	18,320.4	11,189.6	7,130.8



ხარჯები	6,884.8	549.3	6,335.5	6,379.2	578.0	5,801.2	7,035.1	514.4	6,520.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,408.2	2,188.2	220.0	5,109.1	4,813.8	295.3	11,285.3	10,675.2	610.1
ვალდებულებების კლება	9.9	0.0	9.9	12.9	10.2	2.7	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	171.0	167.4	3.6	3,993.6	3,823.8	169.8	- 4,719.2	- 4,409.4	- 309.8

მუხლი 3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13531.2 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9,419.6	2,904.9	6,514.7	15,398.9	9,225.8	6,173.1	13,531.2	6,780.2	6,751.0
გადასახადები	1,268.3	0.0	1,268.3	1,300.3	0.0	1,300.3	1,210.0	0.0	1,210.0
გრანტები	6,959.0	2,904.9	4,054.1	13,059.9	9,225.8	3,834.1	11,006.6	6,780.2	4,226.4

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1210.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1 268,3	0,0	1 268,3	1 300,3	0,0	1 300,3	1 210,0	0,0	1 210,0
სამშენსაშენო გადასახადი	237,9		237,9	195,0		195,0	160,0		160,0
ქონების გადასახადი	1 030,4	0,0	1 030,4	1 105,3	0,0	1 105,3	1 050,0	0,0	1 050,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	128,7		128,7	180,6		180,6	150,0		150,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,0			0,0			0,0		
არასასოფლო-სამეურნეო									



დანიშნულების მიწაზე	901,7	0,0	901,7	924,7	0,0	924,7	900,0	0,0	900,0
იურიდიულ პირებიდან	901,7		901,7	960,0		960,0	900,0		900,0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 11 006.6 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	6,959.0	2,904.9	4,054.1	13,059.9	9,225.8	3,834.1	11,006.6	6,780.2	4,226.4
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	6,959.0	2,904.9	4,054.1	13,059.9	9,225.8	3,834.1	11,006.6	6,780.2	4,226.4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4,192.1	138.0	4,054.1	3,972.1	138.0	3,834.1	4,364.4	138.0	4,226.4
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,054.1		4,054.1	3,834.1		3,834.1	4,226.4		4,226.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	138.0	138.0		138.0	138.0		138.0	138.0	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,766.9	2,766.9	0.0	9,087.8	9,087.8	0.0	6,642.2	6,642.2	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2,081.6	2,081.6		6,127.7	6,127.7		6,333.7	6,333.7	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	685.3	685.3		0.0			0.0		
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0			378.5	378.5		308.5	308.5	
სპეციალური ტრანსფერი	0.0			2,581.6	2,581.6		0.0		



მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1314.6 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	1 192,3	0,0	1 192,3	1 038,7	0,0	1 038,7	1314,6	0,0	1314,6
შემოსავლები საკუთრებიდან	104,1	0,0	104,1	99,1	0,0	99,1	130,0	0,0	130,0
პროცენტები	0,0			3,0		3,0	0,0		
რენტა	104,1	0,0	104,1	96,1	0,0	96,1	130,0	0,0	130,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	74,2		74,2	56,2		56,2	100,0		100,0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	29,9		29,9	39,9		39,9	30,0		30,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	47,9	0,0	47,9	48,2	0,0	48,2	40,0	0,0	40,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	47,9	0,0	47,9	48,2	0,0	48,2	40,0	0,0	40,0
სანებართვო მოსაკრებელი	29,3		29,3	5,6		5,6	0,0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	18,6		18,6	42,6		42,6	40,0		40,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 040,3		1 040,3	890,9		890,9	1 144,6		1 144,6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0			0,5		0,5	0,0		

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7 035.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით

დასახელება	2016 წლის ფაქტი		2017 წლის ფაქტი		2018 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის



	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6,884.8	549.3	6,335.5	6,379.2	578.0	5,801.2	7,035.9	515.2	6,520.7
შრომის ანაზღაურება	1,631.8	86.1	1,545.7	1,347.1	104.6	1,242.5	1,676.0	67.5	1,608.5
საქონელი და მომსახურება	877.5	292.2	585.3	1,032.1	253.1	779.0	838.8	259.4	579.4
სუბსიდიები	3,621.9	49.0	3,572.9	3,429.1	159.8	3,269.3	3,642.6	71.0	3,571.6
გრანტები	102.5	0.0	102.5	0.4	0.0	0.4	0.4	0.0	0.4
სოციალური უზრუნველყოფა	513.2	2.9	510.3	486.0	2.0	484.0	484.4	0.5	483.9
სხვა ხარჯები	137.9	119.1	18.8	84.5	58.5	26.0	346.6	116.8	229.8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 11 214.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 11 284.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	79.0	0.0	79.0	22,7	0.0	22,7	36,8	0.0	36,8
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,007.0	1,907.6	99.4	4886,2	4643,1	243,1	11200.6	10666.7	533.9



04 00	განათლება	297.9	280.6	17.3	176,8	164,6	12,2	20.7	5,4	15.3
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	7.9	0.0	7.9	13,4	6,1	7,3	24.4	2,3	22.1
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	15.4	0.0	15.4	10,0	0.0	10,0	2.0	0.0	2.0
	სულ	2,408.2	2,188.2	220.0	5109,1	4813,8	295,3	11284.5	10674.4	610.1

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 70.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის ფაქტი			2016 წლის პროექტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	54.3	0.0	54.3	0.0	0.0	0.0	70.0	0.0	70.0
ძირითადი აქტივები	16.5		16.5	0.0			30,0		30,0
არაწარმოებული აქტივები	37.8	0.0	37.8	0.0	0.0	0.0	40,0	0.0	40,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით.

ფუნქც. კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,166.3	0.0	2,166.3	2,080.7	93.3	1,987.4	2,236.0	0.0	2,236.0
	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის									



7011	უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,166.3	0.0	2,166.3	2,080.7	93.3	1,987.4	2,236.0	0.0	2,236.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,166.3	0.0	2,166.3	2,080.7	93.3	1,987.4	2226.3	0.0	2226.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	9.7	0.0	9.7
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	98.3	87.0	11.3	83.8	71.8	12.0	86.1	67.7	18.6
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,375.9	2,299.1	76.8	5,108.0	4,863.0	245.0	11313.8	10 797.5	516.3
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	2,375.9	2,299.1	76.8	5,106.5	4,863.0	243.5	11,313.8	10,797.5	516.3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,375.9	2,299.1	76.8	5,106.5	4,863.0	243.5	11,313.8	10,797.5	516.3
705	გარემოს დაცვა	551.4	0.0	551.4	614.5	48.4	566.1	912.3	2.0	910.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	551.3	0.0	551.3	596.7	48.2	548.5	891.3	1.0	890.3
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0.1	0.0	0.1	17.8	0.2	17.6	21.0	1.0	20.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	457.2	0.0	457.2	372.2	2.5	369.7	383.2	184.4	198.8
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	1.7	0.0	1.7
7063	წყალმომარაგება	7.6	0.0	7.6	6.3		6.3	19.4	4.4	15.0
7064	გარე განათება	219.8		219.8	178.9	2.5	176.4	133.2	0.0	133.2
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	229.8	0.0	229.8	187.0		187.0	228.9	180.0	48.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	107.0	49.0	58.0	126.9	70.0	56.9	126.9	70.0	56.9
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	107.0	49.0	58.0	126.9	70.0	56.9	126.9	70.0	56.9



708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,437.0	0.0	1,437.0	1,152.3	26.0	1,126.3	1,262.7	2.3	1,260.4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	486.3	0.0	486.3	331.1	4.4	326.7	376.0	0.0	376.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	805.6	0.0	805.6	708.5	21.6	686.9	761.3	2.3	759.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	64.0	0.0	64.0	53.2	0.0	53.2	53.2	0.0	53.2
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	81.1		81.1	59.5		59.5	72.2	0.0	72.2
709	განათლება	1,455.2	280.6	1,174.6	1,337.8	187.7	1,150.1	1,303.6	5.4	1,298.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,246.1	280.6	965.5	958.7	19.0	939.7	1,095.8	5.4	1,090.4
7092	ზოგადი განათლება	105.0	0.0	105.0	104.7	0.0	104.7	104.8	0.0	104.8
70923	საშუალო ზოგადი განათლება	105.0	0.0	105.0	104.7	0.0	104.7	104.8	0.0	104.8
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	104.1	0.0	104.1	274.4	168.7	105.7	103.0	0.0	103.0
710	სოციალური დაცვა	644.7	21.8	622.9	625.0	39.3	585.7	695.8	2.0	635.3
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	467.8	0.0	467.8	444.9	0.0	444.9	450.0	0.0	450.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	467.8	0.0	467.8	444.9	0.0	444.9	450.0	0.0	450.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	31.6	0.0	31.6	28.3	0.0	28.3	27.0	0.0	27.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	143.0	19.8	123.2	149.8	37.3	112.5	218.3	60.0	158.3
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2.3	2.0	0.3	2.0	2.0		0.5	0.5	
	სულ	9,293.0	2,737.5	6,555.5	11,501.2	5,402.0	6,099.2	18 320.4	11 189.6	7,130.8

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 4 719.2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1.განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 4 719.2 ათასი ლარის ოდენობით.



2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება - 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 9.7 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 138.0 ათასი ლარი მიიღმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 70.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 67.5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 0.5 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 86.1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 86.1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის გამოკვლევის მიზნით მათი რესპუბლიკის სამედიცინო-საექსპერტო კომისიაზე და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, ასევე საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში მობილიზებული წვევამდელების და რეზერვისტების ტრანსპორტირება დისლოკაციის ადგილამდე.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 12 609.3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია, გარე განათების მშენებლობა-ექსპლუატაცია, საკანალიზაციო და ჩამდინარე წყლების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარამოს



დაცვის ღონისძიებები, მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა, კულტურისა და დასვენების პარკის და მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 11 301.6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა. გაგრძელდება ხიდ-ბოგიერების რეაბილიტაცია და მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

ბ) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 11 028.1 ათასი ლარი(პროგრამული კოდი 03 01 01)

ამ ქვეპროგრამით ძირითადად განხორციელდება თანადაფინანსების წესით მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია კერძოდ ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა, ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების გასწორხაზოვნება და თოვლის საფარისაგან გაწმენდა. რეგიონალური განვითარებისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით გზების რეაბილიტაცია.

გ) ხიდების, ბოგიერების აშენება, შეკეთება - 263.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ხიდების და ხიდბოგიერების რეაბილიტაცია.

დ) მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 03 01 04) - 10.0 ათასი ლარი.

ე) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 1 066.6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება სანიაღვრე არხების მოწესრიგება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. მრავალსაცხოვრებელიანი ბინების გადახურვა და ფასადების მოწყობა.

ვ) სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების, საყრდენი კედლების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა – 21. 0 ათასი ლარი(პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები დაბასა და მუნიციპალიტეტის სოფლებში საჭიროებისამებრ.

ზ) დასუფთავების ღონისძიებები – 146.9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ამ პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა 46 000 კვმ ფართობზე დაბა ხარაგაულისა და პატარა ხარაგაულის ქუჩებიდან და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების სოფლებიდან ზვარე, ნუნისი, მოლითი, ბეჟათუბანი, დიდვაკე, საღანძილე, ვანი, ლეღვანი,ვახანი, ჯაფაროული,ბაზალეთი, ფარცხნალი,თეთრაწყარო, საქარიქედი, კიცხი,ხიდარი, ვარძია, წყალაფორეთი, ბორი, ლაშე, უბისა, მაქათუბანი, ბორითი, საქასრია, ვერტყვიჭალა, ხევი, ხუნევი, რიკოთი, საბე, სარგვეში,ნადაბური, სადაც განთავსებულია 243 ცალი ნარჩენების შემავრთველი კონტეინერი. 2018 წლის დასაწყისიდან დაგეგმილია 120 ერთეული კონტეინერის დამატება, რომელსაც ემსახურება ორი ერთეული „ისუზუს“ და ორი ერთეული „ მერსედესის“ ტიპის სპეციალური ავტომანქანები და 27 მეეზოვე და რვა მტვირთავი მუშა . დასუფთავების ღონისძიებებს ახორციელებს ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ , რომელიც გარდა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება, გატანა, განთავსებისა ასევე ახორციელებს მოსახლეობის მაწანწალა ძაღლებისაგან დაცვას, რაც გულისხმობს ცხოველების გადაყვანას სპეციალურ თავშესაფრებში. წყალანირების ჯგუფის მიერ ხდება სანიაღვრე არხების გაწმენდა და კანალიზაციის დაზიანებული წერტილების აღმოფხვრა-შეკეთება. აღსანიშნავია ის გარემოება,



რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცალკე განთავსებულია პოლიეთილენის ბოთლებისა და პარკების შემგროვებელი 26 ერთეული ორგანოფილური კონტეინერები რომელთა დაცლასა და განთავსებას ემსახურება აღნიშნული სამსახური.

თ) მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 1.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 0)

აღნიშნული ქვეპროგრამით გადაიხურება სოფელ მოლითის და დიდვაკის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, მოეწყობა დაბაში მრავალბინიანი სახლების ფასადი.

ი) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 19.4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ამ პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში წყლის სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები;

კ) გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია – 46.5 ათასი ლარი(პროგრამული კოდი 03 02 05)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, კერძოდ დაბაში სოლომონ მეფის, ცხრა აპრილის, გალაქტიონის, რ. დეკანოსიძის, რ. თაბუკაშვილის, ო. აბაშიძის, წერეთლის, თ. ჭიპაშვილის, ე. ჭიპაშვილის, ჭავჭავაძის, გურამიშვილის, გრიშაშვილის, დევდარიანის, ნიორამის, კიკნაძის და გლუნჩაძის ქუჩებზე, ასევე სოფლებში დიდვაკე, ისლარი, ფარცხნალი, ნებოძირი,სადანძილე, ბრუისი, ჯაფარეული, ოკიშურა, თეთრაწყარო, უბისა, მოლითი, ბორითი, მაქათუბანი, ლაშე, საქასრია, ლახაუნდარა, წყალაფორეთსა და ბაზალეთში არსებული ქსელის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება.

ლ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია 86.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება გარე განათების ქსელზე დაერთების სამუშაოები და შეძენილი იქნება სპეც-ტექნიკა (მანქანა-კალათი). ასევე მოხდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გადმოცემული ტექნიკისა და ინვენტარის ღირებულების საპროცენტო მომსახურება.

მ) დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება 744.4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 07)

აღნიშნული ა(ა)იპ შეიქმნა ინფრასტრუქტურის პროფილის ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის შედეგად და ახორციელებს მათ მიერ აღებული ვალდებულებებისა და უფლებამოსილების განხორციელებას.

ნ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები – 228.9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს დაბისა და სოფლის ცენტრებში ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბასა და სოფლებში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მწვანე ნარგავების მოვლა. სადღესასწაულო დღეებში დაბის ტერიტორიის გაფორმება და სხვა ღონისძიებები, ასევე შემოიღობება სასაფლაოები.

ო) პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები - 43.9 ათასი ლარი(პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბის პარკის, თ. კიკნაძის სახელობის, ჩოხოსნების, მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, პოლიციის მიმდებარე ტერიტორიის, ვ. ღონღაძის სახელობის შინმოუსვლელთა, ცხრა აპრილის, დაბის შესასვლელში „დედების“ ტერიტორიის სკვერის, სოფ. ბორითში მერაბ კოსტავას სახელობის სკვერის, სოფ. ნებოძირში არსებული სკვერის, სოფ. ღორეშაში იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, შინმოუსვლელთა და ვაჟა ფშაველას მემორიალის მიმდინარე სკვერების, საქარიქედის სკვერის მოვლა პატრონობა ასევე სოფ. ისლარში არსებული დაცული ტერიტორიის მოვლა პატრონობა, პირუტყვისაგან დაცვა, ახალი ნარგავების დარგვა და მოვლა, გასხვლა, მორწყვა, შემობარვა. დაბაში არსებული ხიდების და ტროტუარების მოვლა, გაღებვა, დაზიანებული ადგილების აღდგენა, მრავალწლიანი ნარგავების მოვლა, გადაჭრა, კირით შეწამვლა, შემობარვა, საჭირო შემთხვევაში ამოღება; დაბაში არსებული ორი ფანტანის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

პ) სასაფლაოების მოვლა-პატრონობა – 1.9 ათასი ლარი(პროგრამული კოდი 03 04 02)



აღნიშნული ქვეპროგრამით შემოიღობება სასაფლაოს ტერიტორიები პატარა ხარაგაულის ტერიტორიაზე.

ჟ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია - 183.1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 04 03) ამ ქვეპროგრამით კეთილმოწყობა დაბაში არსებული სკვერები საქართველოს რეგიონებში განსხორციელებელი პროექტების ფონდიდან.

რ) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები - 12.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 05) პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წინა წლების სოფლის მხარდამჭერი პროგრამით აღებული ვალდებულებების დაფინანსება.

4. განათლება –1 303.6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 1 080.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01) პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯები, რომელიც ქმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად, ამჟამად მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სკოლამდელ განათლებას ეუფლება 621 აღსაზრდელი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება 28 ასაკობრივი ჯგუფით, მათ შორის 5 ბაგის ჯგუფით, გაერთიანებაში ამჟამად შედის ჩვიდმეტი საბავშვო ბაღი.

ბ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 104.8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 02)

ამ ქვეპროგრამით ხდება ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურებისა და საბავშვო ბაღის დაფინანსება 27 სკოლამდელი ასაკის ბავშვით, პანსიონში ღამეს ათევის უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და ლტოლვილი 13 მოსწავლე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება ძირითადად ხმარდება პანსიონის კუთხით დასაქმებული თანამშრომლების ხელფასებს, ნაწილი კი კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, კვებისა და მკურნალობის ხარჯები მთლიანად ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნატურალური სახით.

გ) სკოლისგარეშე დაწესებულება - 103.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება, რომელშიდაც ფუნქციონირებს 15 შემოქმედებითი და ტექნიკური წრე, 41 ჯგუფით და 300 მოსწავლით, ყველა წრე უფასოა, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას დაბის, კიცხის, მარელისის, ლელვანის, ბორითის, ვერტყვიჭალის და წიფის სკოლებიდან, რომლებიც ეუფლებიან ხალხურ და საესტრადო სიმღერებს, რიტმული ცეკვას, მხატვრულ კითხვას, ხეზე კვეთას, გალობას, ხელგარჯილობას, ლიტერატურული თატრის ხელოვნებას, მხარეთმცოდნეობას, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, მათემატიკას,ხატვას, მაკრამეს, ინგლისურ და ფრანგულენებს.

გარდა ამისა მოსწავლეთა სახლთან ფუნქციონირებს მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“ დაბისა და სოფ. ვეტყვიჭალის საჯარო სკოლების ბაზაზე, რომელიც ნაწილობრივ ბიუჯეტით და ნაწილობრივ მშობელთა შემონატანით ფინანსდება.

დ) განათლების ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა - 15.8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 04)

ამ ქვეპროგრამით გაგრძელდება თანადაფინანსების წესით შესრულებული ვალდებულებების ეტაპობრივად დაფინანსება.

5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 1 262.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე



ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების, მომღერლების და სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე წარმატებული ახალგაზრდების წახალისებას, ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 376.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტთან დაკავშირებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ:

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა; მინიფეხბურთის და კალათბურთის ჩემპიონატი ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის; სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი; ვახანის სახალხო დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები და იმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები დოლი, მკლავჭიდი, ქართული ჭიდაობა, ქუჩის კალათბურთი.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის, მუნიციპალიტეტის განვითარებისა შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება, მუნიციპალიტეტში სპორტული სფეროს ა(ა)იპ-ების გაერთიანების შედეგად შექმნილი ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი აგრძელებს არსებული ა(ა)იპ-ების უფლებამოსილების განხორციელებას.

სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში 23 ჯგუფი 350 მოსწავლით სხვადასხვა სპორტულ სექციებში ვარჯიშობს, თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კარატეში კუნგ-ფუ-სანდა და ტაიკვანდო,სამბოსა და ჭადრაკსა და შაშში. გარდა დაბისა ჯგუფები გახსნილია სოფლებშიც, კერძოდ ზვარე, ბორითი, ხევი, კიცხი, მარელისი, ბორი, საღანძილე, ვერტყვიჭალასა და ნადაბურში. დაგეგმილია ახალი ჯგუფის გახსნა სოფელ ღორეშაში. მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება სპეციალურად დადგენილი წსის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის განვითარებისა შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი 2018 წელს განახორციელებს შემდეგ პროექტებს: საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება ტურისტულ მარშრუტებზე, აქსესუარები ხარაგაულის ატრიბუტიკით, ეკოლოგიური პროექტები, ცამეკრულის თამაშები, სათაგადასავლო ტურ-თამაშები, „ილბლიანი ანკესი“,ლაშქრობები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, „დევეგმირები“, კარვების ბანაკი სოფელ ზვარეში, „ჯომარდობა ჩხერიმელაზე“, „ზიპლაინი ხარაგაულში“ ექსტრემალური გასართობი ექსტრემალური ჯიპ-ტურები, პროექტი შემოდგომის მუსიკალური ფესტივალი „ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დიდი სახვლარის ტერიტორიაზე“, შეხვედრა ხარაგაულელ პირველკურსელებთან და კაფე სადამოს მოწყობა.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა – 761.3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სიმღერის კონკურსი „იმერეთის ხმა“, ფესტივალი „იმერული პალიტრა“, ქუთაისობის ტრადიციული დღესასწაული, იმერეთის თეატრალური ფესტივალი. გასვლითი ღონისძიებები სოფლებში, შეხვედრები კულტურის დარგის გამოჩენილ ადამიანებთან, წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნები. მომღერალი ოჯახების კონცერტი, საახალწლო ღონისძიებები. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურთან ერთად ფუნქციონირებს კულტურული დანიშნულების ექვსი ა(ა)იპ, კულტურის სფეროს ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის შედეგად ახლადშექმნილი ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი ასევე აგრძელებს მასში შემავალი ა(ა)იპების უფლებამოსილების განხორციელებას, რომელიც მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერითა და საკუთარი შემოსულობების გამოყენებით ახორციელებენ სხვადასხვა სახის კულტურულ და სანახაობრივ ღონისძიებებს, როგორც მუნიციპალიტეტის ასევე ქვეყნის მასშტაბით. წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში.

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01) სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო)საგუნდო და გიტარის განყოფილებები, უახლოეს პერიოდში დაგეგმილია საესტრადო ბენდის ჩამოყალიბება, სკოლაში სწავლობს 100 მოსწავლე, სასწავლო პროცესს ემსახურება 10 პედაგოგი და 8 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, სამუსიკო სკოლა ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს,



კონცერტებს და მონაწილეობას ღებულობს მუსიკალურ კონკურსებში .

ა(ა)იპ ხალხური შემოქმედების სახლი (პროგრამული კოდი 05 02 02) მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ფესტივალებსა და ღონისძიებებში, რომლის ძირითადი მიზანია ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია, (ცეკვა, სიმღერა, ზეპირსიტყვიერება) ძველის მოძიება და მომავალი თაობებისათვის შენახვა, აღნიშნულის შესასრულებლად ახორციელებს პროექტს „მთაში დამალული მარგალიტები“.

ა(ა)იპ კულტურის ცენტრში (პროგრამული კოდი 05 02 03) ფუნქციონირებს ორი თეატრი - ო.აბაშიძის სახ. სახალხო თეატრი და თოჯინების თეატრი; ორი ანსამბლი - ქორეოგრაფიული ანსამბლი უბისი და ხალხური სიმღერის ანსამბლი; სამი ფოლკლორული ჯგუფი, მ. შ. ფოლკლორული ჯგუფი „ოდია“ და ვაჟთა და ქაღალთა ვოკალური ჯგუფები; ასევე ფუნქციონირებს ხუთი შემოქმედებითი წრე - ხალხური საკრავების, გიტარაზე დაკვრის, მხატვრული კითხვის, ხალხური რეწვისა და დოღზე დაკვრის შემსწავლელი წრეები.წრეებში გაერთიანებულია 50 მოსწავლე;

ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მუნიციპალიტეტში წიგნის პროპაგანდასა და ინფორმაციული საზოგადოების შექმნასა და განვითარებაში, მასში გაერთიანებულია დაბის სამი და ტერიტორიულ ერთეულების ოცდაორი საბიბლიოთეკო განყოფილება უნიკალური წიგნადი ფონდებით; ცენტრალური ბიბლიოთეკა გადაქცეულია ინფორმაციის ცენტრად, რამდენიმე წელია ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით შეიქმნა „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრი“, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ტექნოპარკთან, სადაც მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები ეცნობიან თანამედროვე მიღწევებს, ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, ყველაზე პოპულარულია „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“, ბიბლიოთეკა შეძლებისდაგვარად პერიოდულად ანახლებს საბიბლიოთეკო ფონდს.

ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმს მასში დაცული საინტერესო მასალებით და ექსპოზიციით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ისტორიის წარმოჩენის საკითხში, მასში დაცულია 10500-ზე მეტი ექსპონატი. ტარდიციულად მუზეუმში ყოველ წელს ხორციელდება ათეულობით პროექტი და პროგრამა, ამჟამად მუზეუმს ესაჭიროება რეაბილიტაცია, კერძოდ სამეზუმო ფონდებისა და ტენიანობის რეჟიმის მოწესრიგება და ექსპოზიციების ქიმიური ხსნარებით დამუშავება. ასევე ახალი ექსპოზიციის კონცეფციის შემუშავება, რათა გადაიქცეს თანამედროვეობის შესაბამის მუზეუმად.

ა(ა)იპ ლიტერატურული თეატრისძირითადი მიზანი არის მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების პოპულარიზაცია საქართველოს მასშტაბით, დიდებულ მამულიშვილთა ღვაწლის წარმოჩენა, კულტურული კონტაქტების გაღრმავება. თეატრი ყოველწლიურად ატარებს ლიტერატურული კონკურს „ ოდეონს“ , სამხატვრო პლენერს და სხვადასხვა ლიტერატურულ სპექტაკლებს.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფის ხარჯებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან წინა წლებში აღებული ვალდებულებების ეტაპობრივი დაფარვა.

გ) ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა 53.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული სხვადასხვა საკონმდებლო აქტების გამოქვეყნების დაფინანსება,ყოველკვირეული გამოცემის საშუალებით ხდება მოსახლეობის ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული აქტივობების შესახებ.

დ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება – 22.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: ლირიული სიმღერის კონკურსი - „იმერეთის ხმა“, და ფესტივალი „იმერული პალიტრა“ ქუთაისობის ტრადიციულ დღესასწაულში მონაწილეობა,გასვლითი ღონისძიებები სოფლებში, კულტურის დარგის გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრა. წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნები, მომღერალი ოჯახების კონცერტი, საახალწლო ღონისძიებები, მხიარულთა და საზრიანთა კონკურსი საჯრო სკოლებისათვის, პროექტი „მხიარული სტარტების“ ჩატარება. ინტელექტუალური თამაშები „რა, სად, როდის“ ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება.შემეცნებითი ექსკურსია-ტურების მოწყობა, კონცერტების მოწყობა ახალგაზრდების მონაწილეობით.



ე) რელიგიის დაფინანსება – 50.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა დაბაში მშენებარე საკათედრო ტაძარს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებს და სასულიერო გიმნაზიას.

6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 822.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება – 126.9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში და ნაწილობრივ საკუთარი სახსრებიდან (ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებას, რათა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ:

ა) მიმდინარე ეპიდემიოლოგიური პროცესების ტენდენციებისა და დინამიკის, ინფექციურ დაავადებათა მაშტაბების, გავრცელების ხასიათისა და მათი სოციალურ ეკონომიკური მნიშვნელობის ყოველკვარტალურად შესწავლა; ინფექციურ დაავადებათა შემთხვევების კერებში ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა რეალიზება;

ბ) ყოველთვიურად და საჭიროების მიხედვით ხდება პოლიკლინიკის, საავადმყოფოს, ანტირაბიული კაბინეტის, საექიმო უბნების პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის რგოლების მონიტორინგი;

